საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონერი პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 54
კვირა, ოქტომბრის [illegible]
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ქანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა—ფაკულტეტიური მოხსენება—პროფ. შ. ნუცუბიძე.
6. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
7. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
8. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
9. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
10. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
11. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

დაი მარიამ ელიავასი, ძმა ალექსი ლეონიძე შვილებით, რძალი სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა, ძმისწულები: ევგენია, ნინა, ლევან, სვიმონ, გიორგი, სიძე რევაზ გედევანიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხვალ, ორშაბათს, ოქტომბრის 24-ს ს. პატარძეულში წმ. შიოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და ძვირფასის

ტასო ლეონიძის
(ხატისკაცის)

სულის მოსახსენებლად. 35

მეუღლე სოფიო ნიკოლოზის ასული ლეონიძისა, შვილები: ევგენია, ნინო, ლევან, სვიმონ, გიორგი, დაი მარიამ სვიმონის ასული ელიავასი, სიძე რევაზ გედევანიშვილი—აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 24-ს ს. პატარძეულში წმ. შიოს ეკლესიაში (გარე-კახეთი) გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

ნიკოლოზ ლეონიძის

სულის მოსახსენებლად (გარდ. 1900 წ.) 35

ქვრივი ეკატერინე, შვილები: კონსტანტინე, ვლადიმერი ნინა და ლიუსა ლოლაძეები და ვასასი იშხნელის. დისწული, ივანე იშხნელი ოჯახობით ვლადიმერი, ალექსანდრე, ვალენტინა დიგბუძისა მეუღლითურთ, მართა ხუციშვილისა მეუღლითურთ, თამარა დეისაძისა მეუღლითურთ, ელენე ქვარიანისა მეუღლითურთ, ნინა, ზინა და საშა იშხნელებისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ ოქტომბრის 18-ს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

გიორგი კონსტანტინის ძე ლოლაძე

ცხედარს გამოასვენებენ კვირას, ოქტომბრის 23-ს დილის 10 საათზე კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაში სადაც მოხდება დასაფლავება. მისამართი მოლოკანის ქუჩა № 18. 34

განუსაზღვრელად დამწუხრებულნი მშობლები: პელაგია და დიმიტრი ბზიავები და ძენი მათნი დათიკო და საშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ოქტომბრის 25-ს სამშაბათს, დღისით 12 საათზე გარდახდილი იქნება ორმოცი დღის განსვენების წირვა და ნაშუადღევის ოთხ საათზე პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში მათი ძვირფასის

მეგის

სულის მოსახსენებლად. 29

ხელოვანთა სასახლეში

სერგიევის ქუჩა № 13.
კვირას, ოქტომბრის 23-ს დილის 11 საათ.

დანიშნულია დამფუძნებელი ყრილობა საქართველოს ახალი მწერლობის კავშირისა

დღის წესრიგი:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2. ახალი წევრების მიღება და დამტკიცება.
3. წესდების შემუშავება.
4. მიმდინარე საკითხები.
5. საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საორგანიზაციო კომიტეტი
ტიციან ტაბიძე, ვახ. კოტეტიშვილი, პავლე ინგოროყვა.

ყარსის ხელშეკრულება

ყარსის კონფერენციის მუშაობის შედეგები უკვე გამოქვეყნდა. როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც იყო აღნიშნული, ქ. ყარსში შეიკრიბნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის წარმომადგენელნი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის თანადასწრებით ურთიერთ შორის შეთანხმებისა და მეზობლური დამოკიდებულების გასამტკიცებლად. ხელშეკრულება, რომელიც ამ კონფერენციამ მიიღო მრავალ მხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი; დღეს დაინტერესებულ საზოგადოებას შეუძლია ფართოთ ასწონ-დასწონოს ეს ხელშეკრულება და გამოარკვიოს მისი ღირებულება საერთოდ ამიერკავკასიისა და კერძოთ ჩვენი ერის წინმსვლელობის საქმეში.

უნდა თავიდანვე აღვნიშნოთ, რომ ეს ხელშეკრულება თითქმის პირველი საერთაშორისო ღირებულების აქტია, რომელიც კი საბჭოთა საქართველომ დასდვა თავის მეზობლებთან. ასეთი აქტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მას მიზნად უდევს ჩვენი დასავლეთ-სამხრეთის მეზობლებთან მტკიცე ზავისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარება. როგორც ვიცით, ისტორიულად ოსმალეთი ჩვენი უდიდესი მტერი იყო და მისი იმპერიალისტური პოლიტიკა ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ აძლევდა გასაქანს ქართველ ხალხს თავისუფალი შემოქმედებისათვის· შესძლეს თუ არა ჩვენმა დიპლომატებმა საკითხის სავსებით ამოწურვა და მტკიცე სამართლიანი ურთიერთობის დამყარება ოსმალეთთან, რომელიც არ იწვევდეს რაიმე უკმაყოფილებას და სამუდამოდ სპობდეს ჩვენს სადავო საკითხებს? თვით ხელშეკრულების განხილვა და მისი სისწორით შეფასება მოგვცემს გარკვეულს პასუხს ამ კითხვაზე.

როგორც აღვნიშნეთ ხელშეკრულება მრავალის მხრით არის საინტერესო და მრავალ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. ოთხი მთავარი მომენტი არის ხელშეკრულებაში აღსანიშნავი და გასარკვევი: ა) პოლიტიკური ურთიერთობისა და დამოკიდებულების საკითხი; ბ) ეკონომიური დამოკიდებულება; გ) მოქალაქეობისა და ქვეშევრდომობის საკითხი და დ) ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი. ყველა ამ კითხვებს ეხება ხელშეკრულება და ასე თუ ისე გვაძლევს გადაჭრილ პასუხს.

ერთი მთავარი მომენტი, რომელიც პოლიტიკურ ურთიერთობის საკითხს ეხება და რომელსაც აუცილებლად დიდი საერთაშორისო ღირებულება აქვს, ეს არის ძველი ხელშეკრულებების უარყოფა და გაუქმება, რომელნიც ვერ გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს და ძალით იყო თავზე მოხვეული. ამიერიდან გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების ძალით მეზობლების მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება და აგრეთვე ბრესტ-ლიტოვის პირობები, რომელსაც არავითარი ძალა აღარ ჰქონდა გერმანიის დამარცხების შემდეგ. ვიმეორებთ ასეთი ნაბიჯი აღსანიშნავი და მისალმებია ურთი-ერთ დამოკიდებულების დროს. მაგრამ აქ, პირველ მუხლშივე, რომელიც ეხება ძველი ხელშეკრულების გაუქმებას, გამონაკლისის სახით რჩება მოსკოვის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო 1921 წ. მარტის 16-ს. როგორც ირკვევა ეს ხელშეკრულება შეიქმნა საფუძველი და მთავარი წყარო ყარსის ხელშეკრულებისა მოსკოვმა ჩვენი ერის დაუკითხავად, მაშინ როდესაც კიდევ ხდებოდა უმიზნო სისხლის ღვრა საქართველოს მიწა-წყალზე, გადასცა ოსმალეთს: ართვინ-არდაგანი და ბათომის ოლქის საგრძნობი ნაწილი. საქართველო იურიდიულად აღიარებულია საბჭოთა მიერ როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ცხადია სუვერენი და ბატონი ამ ტერიტორიალური ერთეულებისა არის საქართველო და გარეშე ძალას, თუ გინდ რუსეთს, არავითარი უფლება არ ჰქონდა ოსმალეთისათვის გადაეცა ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ ვფიქრობდით, რომ კონფერენციის მთავარი საქმიანობა ამ ხელშეკრულების გადასინჯვაში უნდა გამოხატულიყო და მისი უარყოფით საშუალება მოგვცემოდა სამართლიანი დამოკიდებულების განმტკიცებას ოსმალეთთან. ამ ხელშეკრულების ხელუხლებლად დატოვებამ თავიდან გადასწყვიტა საკითხი იმ პოლიტიკის, თუ როგორი გეგმებით გამოვიდა ანგორა თავისი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვრების საკითხში; მაგრამ ამაზე ცოტა ქვევით.

მეორე მთავარი მომენტი, რომელიც პოლიტიკის სფეროს ეხება, ეს არის არ მიღება ყველა იმ საერთაშორისო აქტებისა და ხელშეკრულებების, რომელთაც თავზე ახვევს გარეშე ძალა ერთს რომელიმე ხელშემკვრელ მხარეს. ხელშეკრულების მიხედვით საბჭოთა რესპუბლიკებისა მთავრობანი „სთანხმდებიან არ სცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომელნიც ოსმალეთს შეეხებიან და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ“. თავის მხრით ასეთივე მოვალეობა აიღო თავის თავზე ოსმალეთის ნაციონალურ ყრილობის მთავრობამ საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ასეთი პოლიტიკური დამოკიდებულება და ინტერესთა შეგნებაზე აგებული ურთი-ერთობა ხელს უწყობს მტკიცე მეგობრობის განმტკიცებას. სევრის საზავო პირობები, რომელიც გამარჯვებულ ანტანტის მოძალადეებმა გამოუტანეს ოსმალეთს სასიკვდილო განაჩენის სახით და რომელმაც დიდ ნაციონალურ მოძრაობას შეუმზადა ნიადაგი, საბჭოთა რესპუბლიკების მიერ ვერ იქნება ვერავითარ პირობებში მიღებული. ევროპის გაუმაძღარი სახელმწიფოები დიდი იმპერიალისტური გეგმებით გამოვიდნენ ახლო-აღმოსავლეთში და იქ დაგროვილ სიმდიდრისა და დოვლათის დატაცების პოლიტიკას აწარმოებენ. ამ პოლიტიკის ორბიტაში შედის მთელი ამიერ კავკასია და აღმოსავლეთის მდიდარი სამეურნეო-ტერიტორიები. ერთი მთლიანი საერთო ფრონტის შექმნა ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ყოველივე მათი მოქმედების შეერთებული ძალით დაპირისპირება არსებითად მოუსპობს ნიადაგს იმპერიალიზმის ბატონობას აღმოსავლეთში. ამ მუხლის რეალური ძალა და მორალური ღირებულება დიდია და მისი კონკრეტიულად ცხოვრებაში გატარება შეურყეველი კავშირის მტკიცე ნიადაგს შექმნის.

აგრეთვე ხელშეკრულება აღიარებს, რომ „კაპიტალიზაციის რეჟიმი არ შეეფერება არც ერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და სხვა“. ხელშეკრულების ძალით ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან არ მისცენ ადგილი თავიანთ ტერიტორიაზე ისეთს ორგანიზაციებს, „რომელთაც თავი მოაქვთ ხელშემკვრელ მეორე ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის მთავრობად“.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების პოლიტიკური მხარე საყურადღებო მომენტებით ხასიათდება და მას საღი დემოკრატიული საფუძვლები უდევს სარჩულად.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია მთავარი საშუალებანი და გზები ხელშემკვრელ მხარეთა ქვეშევრდომთა და მოქალაქეების საკითხის მოწესრიგების შესახებ და წარმოდგენილია საბჭოთა რესპუბლიკებსა და ოსმალეთის შორის ეკონომიური ურთიერთობის პირობები. ამ საკითხებზედ ჩვენ აქ არ შევჩერდებით და გადავალთ ჩვენთვის მტკივნეულსა და საჭირბოროტო საკითხზე.

სიმ. ხუნდაძე.

ჩვენი ყრილობა და რევოლიუციური ახალგაზრდობა

ჩვენი ყრილობა ახლოვდება. მომენტის სირთულე ყრილობის მუშაობასაც ართულებს. ომისა და რევოლიუციის განვლილი ქარიშხალი ადუნებს ადამიანის სულისკვეთებას, ახშობს მის ენთუზიაზმს. დაუსრულებელი სისხლის ღვრა კეთილშობილურ გრძნობებს არ ეგუება და მშვიდობიანობისაკენ ისწრაფვის იგი, რევოლიუციური მედგარი სიტყვები ტანში ჟრუანტელ ვერ ჰგვრის მასას და მითი გატაცება უწინდებურად არ ახასიათებს მას. ყოველივე ეს ითქმის ფართო მასაზედ, რომელის პრაქტიკული მოსაზრებები მაღლა სდგას მის იდეურ სამყაროზე, მაგრამ ეს არ ითქმის ახალგაზრდობაზე, რომელიც ყოველ პირობებში იდეალურად უცქერს დიდ მოვლენებს და ყოველგვარი პედანტიურობის გარეშე ითვალისწინებს მოვლენათა წყობას.

ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორია, ისტორიაა თავგანწირულების გმირობისა და რაინდობისა რევოლიუციონური ბრძოლისა. გერმანეთის ახალგაზრდობა, კარლ ლიბკნეხტისა, კლარა ცეტკინისა, დუნკერისა და სხვების ხელმძღვანელობით, ებრძვის სოც.-დემოკრატიის რეფორმისტულსა და ოპორტიუნისტულ პოლიტიკას, შემდეგ იგი დამოუკიდებლებთან და სპარტაკელებთან ერთად ღვრის სისხლს, ხოლო სულ ბოლო ხანებში ახალგაზრდათა ინტერნაციონალში შედის.

საფრანგეთის ახალგაზრდობა თუ პირველად გედისტური და ჟორესისტული მიმართულების გავლენას ემორჩილება, შემდეგ ევრეიზმის ბლანკისტურ ტაქტიკას იღებს, მაგრამ იგი მითაც უკმაყოფილო, ცალკე ორგანიზაციებს აარსებს და შედის პარტიაში, სადაც სასტიკ ბრძოლას აწარმოებს ოფიციალი პარტიის ლიდერთა ოპორტიუნიზმთან. საფრანგეთის ახალგაზრდობა, მსოფლიო ომის გამოცხადების დღეებში, როდესაც მთელი საფრანგეთი იარაღის ჟღარუნით მხეცურ განცხრომას ეძლეოდა, გამოდის წითელი დროშითა და ანტიმილიტარისტული პროპაგანდით. რამდენი გმირობა, რამდენი რაინდობაა ამ ფაქტში.

ავსტრიის ახალგაზრდები მემარცხენე მარქსისტებთან კონტაქტში მუშაობდენ.

შვეციაში, ნორვეგიაში და დანიაში ახალგაზრდობა რევოლიუციური გზით იბრძვის. ასეთივე მოვლენაა შვეიცარიაში, ბელგიაში და სხვა ქვეყნებშიაც. ახალგაზრდათა ინტერნაციონალის გარშემო, თავს იყრის დღეს მილიონამდე რევოლიუციური ახალგაზრდობა, რომელიც მედგრად მიარხევს ბრძოლის მოედნებზე რევოლიუციის წითელ ალამს.

ქართველი ახალგაზრდობა ლამაზი თვალია საერთაშორისო ახალგაზრდობის, მსოფლიოს ახალგაზრდათა მოძრაობის. იგი ყოველთვის დარაჯად უდგა ჩაგრული ერისა და სოციალიზმის საქმეს, მისი სისხლი აჩნია საქართველოს კერას და ეს სისხლი საქართველოს თავისუფლებისათვის არის დაღვრილი.

ქართველი ახალგაზრდობის ნავთსაყუდელი სოციალისტ-ფედერალიზმი იყო, სადაც იგი საუკეთესო დარაჯს ხედავდა ერისა და სოციალიზმის საქმისათვის და პოულობდა ჰარმონიულად შედუღებულ ეროვნულ-სოციალისტურ მიმდინარეობას. ამიტომ იყო ქართველი ახალგაზრდობა ჩვენთან, ამიტომ ვიყავით ჩვენ ქართველ ახალგაზრდობასთან.

როგორი მწუხრის ზეწარი არ უნდა ეფაროს სოციალისტ ფედერალიზმს ქუჩის [illegible]გან, როგორი დევნაც არ უნდა განიცადოს მან, ქართველი ახალგაზრდობა მაინც იქ იქნება, სადაც იგი აქამდე ყოფილა. ახალგაზრდობის ცოცხალი ნაწილი ე. ი. ახალგაზრდობის უმრავლესობა, პარტიაში არსებულ მემარცხენე ფრთას ეკუთნოდა და იგი დღესაც მას ეკუთვნის, გარდა ზოგიერთი ამხანაგისა, რომელსაც ცუდი ინფორმაცია აქვს მიწოდებული მოწინააღმდეგეთა მიერ.

არც შეიძლება ქართველი ახალგაზრდობა ჩვენთან არ იყოს. იგი ვერ გაჰყვება მეჩანურ და კონსერვატიულ პარტიებს, იგი ვერ გაჰყვება ვერც იმას, ვისთვისაც საქართველოს პრობლემა მარადიული მიზანი არ არის. სწორედ ამიტომ ქართველი ახალგაზრდობა ჩვენ გვერდში არის, იგი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს ქართველი ერისა და მისი ნაშრომელის კეთილდღეობისათვის იგი რევოლიუციონური გზით იარს საქართველოსაკენ. რადგან ვინც რეაქციით საქართველოსაკენ მიდის იგი თვით სპობს საქართველოს, ანადგურებს მას და გაუსწორებელ შეცდომას ჩადის—ისტორიის წინაშე.

მენშევიკური, ახალგაზრდობა, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, არ იცის ახალგაზრდათა მოძრაობამ, ეროვნულ დემოკრატიული ახალგაზრდობა ხომ ნამდვილი შეცდომაა ახალგაზრდათა მოძრაობაში. ამიტომ იდეურად შეუძლებელია ახალგაზრდათა დაკავშირება იმ ძალასთან, რომელიც მენშევიკური გზით მიდის დღეს, ამ საერთაშორისო რევოლიუციის პროცესის დროს.

ახალგაზრდობა ყოველთვის უკმაყოფილო იყო პარტიის წინანდელი მენშევიკური პოლიტიკით, იგი ყოველთვის მემარცხენე ფრთას ეკუთნოდა, რაც გასაგებია თავის თავად, რადგან ყველგან და ყოველთვის ახალგაზრდობა ებრძოდა პარტიის ლიდერთა ოპორტიუნიზმს, მის პასიობას, რევოლიუციის გზიდან გადახვევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ჩვენ ყრილობაზე მოვედით იმ ახალგაზრდობის წარმომადგენლებს რომელნიც ყოველთვის ჩვენთან იყო. ჩვენ მოვედით იმ ახალგაზრდობას, რომელთათვის სოციალიზმისათვის ბრძოლა პირად ფუფუნებასა და განცხომას არ წარმოადგენს და რევოლიუციის დროშის ტარება მძიმე ბარგათ არ მოეჩვენება.

ჩვენ მოვედით იმ ახალგაზრდობას, რომელიც ყოველთვის იბრძოდენ ქართველი ერის ბედნიერებისათვის და თავს გადიხდა მეწინავეების უმწეო ბრძოლა რევოლიუციის პირველ დღეებში. ჩვენ მოვედით ახალგაზრდობას მტკიცე რწმენით, სოციალისტური აზროვნებით, რევოლიუციური ენთუზიაზმით და მათთან ერთად ჩვენ დავსწევთ წინ საქართველოსა და სოციალიზმისათვის გამართულ პოზიციებზე.

რევოლიუციური ახალგაზრდობა ჩვენი ყრილობისათვის იმზადება. ყრილობაზე იგი თავის სიტყვას იტყვის.

ხერ. ამაღლობელი.

ხელშეკრულება

სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებსა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან,

მუხლი 13.

ყოველს მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელიც 1918 წლამდე რუსეთის ნაწილს შეადგენდა და რომელზედაც ოსმალეთის სუვერენიტეტის ცნობილი, საშუალება მიეცემა, თუ კი მოისურვებს, გამოვიდეს ოსმალეთის მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს ოსმალეთი და წაიღოს თან თავისი ნივთები და თავისი ქონება, ან მათი ღირებულება.

აგრეთვე ყოველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელზედაც სუვერენიტეტი ოსმალეთმა საქართველოს დაუთმო, საშუალება მიეცემა, უკეთუ მოისურვებს, გამოვიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თავისუფლათ დასტოვოს საქართველოს ტერიტორია, და წაიღოს თან თავისი ნივთები, ქონება ან მათი ღირებულება.

ზემოხსენებულ მცხოვრებთ სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა გადაედებათ ერთი თვით იმ დღიდან, როდესაც დადგენილი წესით შეიტანენ განცხადებას, რომ მათ სურთ დასტოვონ ხსენებული ტერიტორია.

მუხლი 14.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან იმ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში, შეკრან სპეციალური შეთანხმება 1918—1920 წლების ომების ლტოლვილთა შესახებ.

მუხლი 15.

თვითეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის, შემდეგ დაუყოვნებლივ, გამოაცხადოს მეორე მხარის მოქალაქეთა სრული ამნისტია იმ დანაშაულობათათვის, რომელიც ჩადენილია კავკასიის ფრონტზე ომების გამო.

მუხლი 16.

ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, ნაცვალგებით დააბრუნონ სამშობლოში ის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან ერთ ერთ ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 17.

თავიანთ ქვეყნებს შორის მიმოსვლის და ცნობების მიწოდების განუწყვეტლობის უზრუნველსაყოფად, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, ურთიერთ შორის შეთანხმებით, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნეს რკინის გზის, ტელეგრაფის, და საერთოთ ურთიერთობის სხვა საშუალებანი. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შორის, ხალხის და საქონლის მოძრაობა, ყოველგვარ დაბრკოლების გარეშე, მაგრამ ამასთანავე მიღებული, რომ როგორც მგზავრობის, მოძრაობის, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში შესვლის და უკან დაბრუნების, ისე საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, სავსებით დაცულ იქნება ის წესები, რომლებიც ამის შესახებ დადგენილია ამა თუ იმ ქვეყანაში.

მუხლი 18.

კომერციული დამოკიდებულების მოსაწყობად და ეკონომიური, ფინანსიური და სხვა საკითხების მოსაწესრიგებლათ, რაც საბჭოთა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა შორის მეგობრული განწყობილების განსამტკიცებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, დაუყოვნებლივ იქნება მოწვეული ტფილისში კომისია დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

მუხლი 19.

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, სამი თვის განმავლობაში დასდონ საკონსულო კონვენციები.

მუხლი 20.

ეს ხელშეკრულება ოსმალეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობათ შორის დადებული, საჭიროებს რატიფიკაციას.

რატიფიკაციების გაცვლა გამოცვლა მოხდება ერევანში, რამდენადაც შესაძლებელია, ახლო მომავალში.

ეს ხელშეკრულება შევა ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, გარდა 6, 14, 15, 16, 18 და 19 მუხლ. რომლებიც დაუყოვნებლივ შედიან ძალაში ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

ზემოხსენებულის დასადასტურებლად ხსენებულმა რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავისი ბეჭდებით განამტკიცეს.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ქალაქ ყარსში 5 ეგზემპლიარად,—13 ოქტომბერს 1921 წ. (1337) წ.

(ა. ბ.) ა. მრავიანი.
(ა. ბ.) პ. მაკინციანი.
(ა ბ.) შ. შახტახტინსკი.
(ა. ბ.) შ. ელიავა.
(ა. ბ.) ა. სვანიძე.
(ა. ბ.) ი. განეცკი.
(ა. ბ.) კიაზიმ კარა ბექირი.
(ა. ბ.) ველი.
(ა. ბ.) მუხთარ.
(ა. ბ.) მეხმაუდ-შევკეთ.

დანართი 1.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ოსმალეთისა დადგენილია შემდეგნაირად (თანახმად რუსეთის გენერალური შტაბის რუქისა, მასშტაბით 1,210,000—5 ვერსტი დიუმზე).

სოფელი სარფი შავ ზღვაზე—მთა ყარამელვარი (5,014), შემდეგ წყალთა გამყოფზე რ. ც.-სთან (Р. П), რომელიც მდებარეობს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით, გადასჭრის მდინარე ჭოროხს სოფელ ზემო მარადიდის ჩრდილოეთით, და შემდეგ მისდევს სოფელ სამაჭრის ჩრდილოეთით, მთა ხედისმთა (7,052)—მთა ქვაკიბე-სოფელი, ქავთარეთი—წყალთა გამყოფი ხაზი, მთა მეძიბნა-მთა, გურატკესუნი (6,468)—მისდევს შემდეგ მთა კორდას (7,910)—წყალთა გამყოფ ხაზს და შავშეთის ქედის დასავლეთი შტოთი გამოდის ყოფილი არტვინის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე, მისდევს შავშეთის ქედს, გამოდის მთაზე სარი ჩაი (ყარა ისსალ) (8,478) ყვირილის უღელტეხილი, ხოლო აქედან გამოდის ყოფილი არტაანის ოლქის ძველ ადმინისტრატიულ საზღვარზე მთა კანნი დაღთან, აქედან მიემართება რა ჩრდილოეთით, მიდის მთასთან თელილი (გრმანი) (8,357)—მისდევს რა არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს, გამოდის სოფელ ბადელა სჩრდილო აღმოსავლეთით, მდინარესთან ფოცხოვ ჩაი და მისდევს ამ მდინარეს სამხრეთისაკენ სოფელ ჩ.ნჩახის პუნქტამდე, აქ სტოვებს ამ მდინარეს და მიდის რა წყალთა გამყოფზე, გამოდის მთაზე აირილიან ბაში (8512), გასდევს მთებზე კელლე თაფა (8463)—მთა ხარმან თაფა (970?), მიაღწევს მთამდე კასრას სერი (9681) და მისდევს მდინარეს კარზამეთ—ჩაის ვიდრე მდინარე მტკვრამდე, აქედან მისდევს მდინარე მტკვრის ტალვეგს პუნქტამდე სოფ. კართანაკევის აღმოსავლეთით, საიდაც შორდება მდინარე მტკვარს გასდევს რა მთა ყარა ოღლის (7259) წყალთა გამყოფ ხაზს, საიდანაც სტოვის ორ ნაწ ლად ტბა ხოზაფინს, გამოდის მწვერვალზე 7580 (7560), ხოლო აქედან მთაზე ბეკ-დაღი (9152) მიდის მთებზე უჩ-თაფალარი (9783), სადაც თავდება საზღვარი საქართველოსთან და იწყება საზღვარი სომხეთთან; მთა ტაია-ყალა (9,716,—მწვერვალი 9,065—სადაც სტოვებს არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს და მიდის მთებზე დიდი აღბაბა (8963 ანუ 9973)—8828 ანუ 8827—7602—და შემდეგ პირდაპირი ხაზით მწვერვალზე 7,518, გადის რა სოფელ იბიშის აღმოსავლეთით, და შემდეგ მთაზე ყიზილ-დაღზე (7,439 ანუ 7440 ანუ 7490 სოფელი ახალ. ყიზილ დაში ხოლო აქედან მისდევს მდინარეს; რომელიც მიმდინარეობს ახალ ყიზილ-დაშზე, მის მოსაბრუნამდე, რომელიც არის ყარა მამედის ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ მიდის წყალთა გამოყოფაზე და გამოდის მდინარე ჯამბუზჩაიზე *) (რომელიც მდებარეობს სოფლების დელავერის დიდი ქმლის და ყიხნისის აღმოსავლეთით),—სოფლებზე ვირთანლი და ბაშშურაგელი, მისდევს აღნიშნულ მდინარეს და გამოდის მდინარე არფაჩაიზე სოფელ ქიალიალას ანუ ქალალის ჩრდილოეთით,—საიდანაც მისდევს რა მდინარე არფაჩაის ტალვეგს გამოდის მდინარე არაქსზე, მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე სოფელ ურმიამდე, სადაც თავდება საზღვარი სომხეთთან და იწყება საზღვარი აზერბეიჯანთან და შემდეგ ხელახლა მისდევს არაქსის ტალვეგს ვიდრე ქვემო ყარა სუს შესართავამდე, სადაც თავდება საზღვარი უკანასკნელ სახელმწიფოსთან.

NB. იგულისხმება, რომ საზღვარი გასდევს წყალთა გამყოფ ხაზზე ნაჩვენებ მწვერვალებისა.

(ხელმოწერანი).

დანართი II.

მიღებულია რა მხედველობაში, რომ სასაზღვრო ხაზი, როგორც ეს ნაჩვენებია 1-ლ დანართში, მისდევს მდინარეების, არფაჩაის და არაქსის ტალვეგები, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულებას გადასწიოს ხაზი ბლოკჰაუზებისა 8 ვერსის მანძილზე ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზიდან ეხლანდელი მოხაზულებით არფაჩაის რაიონში და 4 ვერსის მანძილზე ზემოაღნიშნული რკინის გზის ხაზიდან არაქსის რაიონში. ხაზი რომელიც ამოსაზღვრავს ზემო მოხსენებულ რაიონებს ნაჩვენებია ქვემოდ არფაჩაის ზონისათვის § 1-ის პუნქტებში A და B, არაქსის ზონისათვის § 2-ში.

§ 1. არფაჩაის ზონა.

A) სამხრეთ-აღმოსავლეთით ვართანლიდან, აღმოსავლეთით უზუნქილისიდან, მთაზე იოზური (5086)—5082—5047—აღმოსავლეთით კარმირ ვანქუჩ-თაფადან (6578 ანუ 5578) აღმოსავლეთით არაზ-ოღლიდან, აღმოსავლეთით ანიდან მიაღწევს არფა-ჩაის ენიქეის დასავლეთით.

B) შორდება არფაჩაის აღმოსავლეთით მწვერვალიდან 519, მიდის პირდაპირ მწვერვალზე 5481—4 ნახ. ვერსტით აღმოსავლეთით ყიზილ-ყულადან 2 ვერსტით აღმოსავლეთით ბოჯალიდან შემდეგ, მდინარე დიგორჩაი მისდევს ამ მდინარის გასწვრივ ვიდრე სიღალამდე დუზ-კენდი, მიდის პირდაპირ ყარაბაზის ნანგრევების ჩრდილოეთით და გამოდის არფა-ჩაიზე.

§ 2. არაქსის ზონა.

პირდაპირი ხაზი ხარაბა ალიჯანსა და სოფელ სოლეიმანლიხს შუა.

ზონებში, რომელიც ერთის მხრით განისაზღვრება ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის ხაზით, და მეორეს მხრით ხაზით, რომელიც მდებარეობს 8 და 4 ვერსტის მანძილზე ზემო ნაჩვენებ რკინის გზის ხაზიდან, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულობას არ აგოს არავითარი ფორტიფიკაციური სიმაგრეები (მანძილთა ეს ხაზები იწყება ზემო ნაჩვენებ ზონების გარეშე), და არ იყოლიოს მასში რეგულიარული ჯარი, მაგრამ ამასთანავე იტოვებს უფლებას იყოლიოს ზემო აღნიშნულ ზონებში ჯარი, საჭირო წესიერების დასაცველად და უშიშროებისათვის, და ადმინისტრატიულ საჭიროებისათვის.

(ხელმოწერანი).

დანართი 3.

ტერიტორია ნახიჩევანისა.

სოფელი ურმია, შემდეგ პირდაპირი ხაზი სადგ. არაზდაიანზე, (შედის სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში), შემდეგ პირდაპირი ხაზი მთაზე დასავლეთი დაშბურუნი (3142) და შემდეგ წყალთა განყოფით მთაზე აღმოსავლეთი დაშბურუნი (4108), გასდაჭრის მდინარეს ჯაანამ-დარასი, სამხრეთით წარწერისა „род." (სამხრეთით), მიდის წყალთა გამყოფით მთაზე ბაგარსახა (6.607, ანუ 6587), შემდეგ ყოფილ ადმინისტრატიულ საზღვარზე ერევნის და შარურ-დარალაგეზის მაზრებ სა, 6629 ზე გავლით მთამდე კუმურლუ-დაღი (6839 ან 6930) და შემდეგ მწვერვალზე 3080 საიათ-დაღი (7868)—სოფელი კურტ-კულაღი (კიურტ კულაგი)—მთა გამეშურ დაღი (8160)—მწვერვალი 8022—კუკი დაღი (10282) და აღმოსავლეთი ადმინისტრატიული საზღვარი ყოფილი ნახიჩევანის მაზრის.

(ხელმოწერანი).

---

*) სახელწოდება ჯამუშბუჩაი არ არის ნაჩვენები რუქაზე 1899 წლის გამოცემისა).

საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

— დრ. მთავარი კომიტეტის მოწვევით რუსეთის მდგომარეობის შესახებ ფაკულტატიურ მოხსენებას გააკეთებს პარტიულ ყრილობაზედ პროფესორი შალვა ნუცუბიძე.

—

— **საერთო კრება.** სამშაბათს ოქტომბრის 25-ს, საღ. 6 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია სოც.-ფედერალისტთა პარტიის ტფილისის ორგანიზაციების წევრთა საერთო კრება. ამხ. თ. ღლონტი გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მდგომარეობაზედ. შემდეგ მოხდება არჩევნები საქალაქო კომიტეტისა. ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დააკლდებიან და ნურც დაიგვიანებენ.

საორგანიზ. საბჭო.

რუსეთი

მოსკოვი. პოლიტიკურ განათლების ყრილობაზე ამხ. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. აღნიშნა რა ის მწვავე გადახვევა, რომელიც გააკეთა საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ იმ ეკონომიურ პოლიტიკაში გადასვლით, რომელსაც დღეს ახალ პოლიტიკას უწოდებენ, განაცხადა: არსებითად ამ ახალ პოლიტიკაში უფრო მეტი ძველია, ვინემ ჩვენს წინანდელს ძველს ეკონომიურ პოლიტიკაში. ჩვენი წინანდელი პოლიტიკა გულის ხმობდა, რომ მოხდებოდა უშუალოთ გადასვლა ძველ რუსულ ეკონომიიდან სახელმწიფოებრივ წარმოებაზე და განაწილება კომუნისტური დასაწყისით. 1918 წ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ მოვსტყუვდით. იმ დროს ჩვენ თავს დაგვესხა სამხედრო საშიშროება ჩეხო-სლოვაკელების ამბოხებასთან ერთად და დაიწყო სამოქალაქო ომი. დავიწყეთ სტრატეგიული უკან დახევა, რომ არ ვყოფილიყავით განადგურებული. ეს აუცილებელი იყო მაშინ. ეკონომიურ ფრონტზე ჩვენი ცდა, რომ გადავსულიყავით 1921 წ. გაზაფხულზე კომუნიზმში, სერიოზული დამარცხებით დამთავრდა. შემდეგ ამხ. ლენინი ეხება კაპიტალიზმის განახლებას და ამბობს: გადასახადის გაწერა ნიშნავს თავისუფალ ვაჭრობას და გადასვლას კაპიტალიზმის აღდგენაზე მნიშვნელოვან ზომით. რა ზომა იქნება ეს ზომა ჩვენ ჯერ არ ვიცით. არენდი და კონცესიები არის აღდგენა კაპიტალიზმისა, რომელიც ძარიანათ გადაბმულია ჩვენს ახალ პოლიტიკასთან. ძირითადი საკითხი მდგომარეობს მასში თუ ვინ ისარგებლებს ახალი პოლიტიკით? ვის გაჰყვება გლეხობა,—კაპიტალისტებს, თუ პროლეტარიატს? ვინ ვის გაუსწრებს: კაპიტალისტები მოასწრებენ რეორგანიზაციას და კომუნისტების ჩამოგდებას, თუ პროლეტარული ხელისუფლება გამოიჩენს უნარს გლეხებზე დაყრდნობით დაიჭიროს კაპიტალისტები ალვირ ქვეშ. ამ ბრძოლის შედეგზე დამოკიდებულია ჩვენი მდგომარეობა. აი უდიდესი სიძნელე ამ ამოცანისა.

პირადი დაინტერესება. ჩვენ არ უნდა ვეწყობოდეთ უშუალოთ კომუნისტურ გადასვლაზე. საჭიროა მოვეწყოთ გლეხის პირად დაინტერესებაზე ეკონომიურად შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ძრიელ ძნელია პირადათ დაინტერესება. საჭიროა დაინტერესებული იქმნას წარმოებაში თვითეული სპეციალისტი. დღემდე ჩვენ ეს ვერ შევძელით. დღეს კი საჭიროა, რომ თვითეული დარგი სახალხო მეურნეობისა, აგებული იქმნას პირადი დაინტერესებით: საერთოდ განჯა და პასუხისმგებლობა კი ერთი პიროვნული.

მმართველობა უყოყმანოთ. ყრილობების სიჭარბით ჩვენ გაუსწორით ყველა სახელმწიფოებს.

იმიტინგე, მაგრამ მართავდე უყოყმანოთ, მართავდე მტკიცედ, ვიდრე შენამდე მართავდა კაპიტალისტი. სხვაფრივ შენ მას ვერ დაამარცხებ. საქმეს შეუდექ და უბრალოთ ნუ ლაქლაქებ, მაშინ როცა მართვაა საჭირო. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი მსოფლიო ჩვენზე უფრო ჩქარა ვითარდება და ამ განვითარებაში მომართავს ყველა ძალას ჩვენს საწინააღმდეგოთ. აი როგორ სდგას კითხვა. ახლო მომავალში უნდა გადასწყდეს საკითხი: შევძლებთ ჩვენ, ჩვენი თავისთვის მუშაობას თუ არა, თუ ვერ შევძლებთ, ჩვენი რესპუბლიკა იღუპება. აი [illegible] გადაბმული ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან.

განაგეთ ყველამ, კაპიტალისტები იქნებიან თქვენს გვერდით, იქნებიან აგრეთვე უცხოელები—კონცესიონერები; ისინი ამოგაძრობენ თქვენ 100 პროც. მოგებას, ისინი გამდიდრდებიან თქვენს ახლო. მაგრამ თქვენ შეისწავლეთ მათგან გამგეობლობა და მხოლოდ მაშინ მოვაწყობთ ჩვენ კომუნისტურ რესპუბლიკის მოწყობას.

რა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ სახელმწიფომ შეისწავლოს ვაჭრობა იმ გვარად, რომ წარმოება აკმაყოფილებდეს გლეხობას, რომ გლეხკაცობა აკმაყოფილებდეს თავის საჭიროებას, და მით მშრომელი მასები თვით ეხმარებოდეს რესპუბლიკის განვითარებას. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მსხვილი წარმოების მოწყობა.

ის დრო წასულია, როცა საჭირო იყო პოლიტიკით გადაწყვეტა დიდი ამოცანებისა. ეხლა უნდა პრაქტიკულად მუშაობა.

ბრძოლა კულტურისათვის. ჩვენ გვჭირია დიდი ამაღლება კულტურისა, განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, დაუღალავათ წამოწეული უნდა იქმნას კულტურის საკითხი. საჭიროა პრიმიტიულ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციიდან იმაზე გადასვლა, რომ წერა-კითხვის ცოდნა ემსახურებოდეს კულტურის ამაღლებას. რომ გლეხმა მიიღოს შესაძლებლობა მოახმაროს ეგ ცოდნა თავის მეურნეობას, თავის სახელმწიფოს გაუმჯობესობას.

სამი მტერი-განათლებისა. ჩემი შეხედულობით, დაასრულა სიტყვა ამხ. ლენინმა,—არის სამი მტერი განათლებისა. პირველი მტერია კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე მტერი—წერა-კითხვის უცოდინარობა, მესამე—ქრთამი.

კომუნისტური ყოყოჩობა გამოიხატება მასში, რომ ადამიანი მხოლოდ მისთვის, რომ ის ირიცხება კომუნისტურ პარტიაში, საიდანაც ჯერ კიდევ არ გამოხვეტილა, თავისი თავი პოლიტიკურ განათლების საკითხში სრულს ავტორიტეტად წარმოუდგენია, არაფერი მსგავსი: ეს არის მხოლოდ კომუნისტური ყოყოჩობა. შესახებ მეორე მტერისა, მე შემიძლია ვსთქვა, რომ სანამ ჩვენს მხარეში არის ისეთი მოვლენა, როგორიც წერა-კითხვის უცოდინარობა პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი ძნელია. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს არის საშუალება, რომლის უმისოთ პოლიტიკაზე ლაპარაკი ზედმეტია. წერა-კითხვის უცოდინარი კაცი სდგას პოლიტიკის გარეშე. მისთვის არსებობს მხოლოთ ხმები, ჭორი, ზღაპრები, ცრუმორწმუნოებანი და არა პოლიტიკა. ასეთია მესამე მტერიც: თუ არის ისეთი მოვლენა როგორც ქრთამი, ლაპარაკი ზედმეტია პოლიტიკაზე. ეს სამი მტერი უნდა მოსპოს პოლიტიკურ განათლების მოღვაწეებმა. რამდენათ მეტი საშუალებით მთელი სახელმწიფოებრივი აპარატისა სასკოლო განათლების მოღვაწეებთან ერთად ვიბრძოლებთ ამ ამოცანებისათვის იმდენათ ჩქარა გადავწყვეტთ მას.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

დავკარგე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული მატრიკული № 20206, რომელსაც გაუქმებულად ვაცხადებ. სტუდ. მიხეილ ივანეს ძე თავართქილაძე

განცხადება

კვირას, ოქტომბრის 23-ს 1921 წ. დილის 10 საათ. ქალაქის I სამვადყოფის კონტორაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება: ორი მოზვერი თითო წლისა ნახმარი თეთრეული, ყოველ გვარი ტანთსაცმელი და ერთი ეტლი, ერთი ცხენის გასაბმელი „დვუკოლკა"). განცხადების შემოტანა შეიძლება სამვალმყოფის კონტორაში ყოველ დღე დღის 3 საათმდე. 31

უ.ფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი მათემატიკის მასწავლებელი

ივ. მ. მაჩაიძე

იღებს მოწაფეებს

მოსამზადებლად ქართული სამხედრო სკოლაში, სხვა და სხვა ტიპის სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. იღებს აგრეთვე ბავშვების 9—15 წლამდე იძლევა ცალკე გაკვეთილებს მათემატიკაში, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებში.

მისამართი: პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25/5 ნახვა 3—7 საათ. 15